“ევროპის უნივერსიტეტის” ჟან მონეს 2023 წლის ზამთრის სკოლის “ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია: ევროკავშირის და საქართველო“ მონაწილის

არჩილ წივილაშვილის ბლოგი

9 თებერვალი, დრო: 12:11 წთ. შეტყობინება Gmail-ზე - “გილოცავთ! (დასტური “ევროპის უნივერსიტეტის” ჟან მონეს ზამთრის სკოლაში მონაწილეობაზე)“.

დიახ, სიხარულით მატყობინებენ, რომ მიღებული ვარ “ევროპის უნივერსიტეტის” ჟან მონეს ზამთრის სკოლაში "ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია - საქართველო და ევროკავშირი". ამაზე უფრო მეტი სიხარულით ვიღებ მობილურს, ვურეკავ მეგობარს, კურსელს და ჯერ კიდევ ჟან მონეს ზამთრის სკოლის პოტენციურ მონაწილეს ვეკითხები:

- მოგწერეს?

- კი

- აგიყვანეს?

- კი

აქ უკვე ვიაზრებ და გონებაში ვსახავ, თუ როგორი შეიძლება იყოს მსგავსი ტიპის სკოლაში მონაწილეობა, თანაც მეგობართან ერთად, რადგანაც ჩემთვის პირველი გამოცდილება იქნებოდა ამ კუთხით. სადღაც, გულის სიღრმესა და გონების ოდნავ შორეულ კუთხეში წარმომიდგენია, რომ სპიკერები პიჯაკით, თეთრი პერანგით და სასიამოვნო ხმის ტემბრით წარდგებიან ჩემ წინაშე და საუბარს დამიწყებენ ევროკავშირზე, მის როლზე, მნიშვნელობაზე და სხვა.

ახლა დროის მანქანას მივმართოთ და ცოტა უფრო უკან დავიხიოთ, ჯერ კიდევ იანვრის თვეში. სიმართლე რომ გითხრათ, ქართველი სტუდენტის ცხოვრება, რომელიც გამუდმებით ცდილობს, რომ მიაგნოს რაღაც ახალ პროექტს, კონფერენციას, სამიტს, სტაჟირებას თუ ა.შ., მარტივად ნამდვილად არ გამოიყურება.

ზუსტად ისეთივე სახით ვკითხულობდი სააპლიკაციო ფორმის შესახებ “ევროპის უნივერსიტეტის” ფეისბუქ პოსტს, როგორც ახლა შენ, მაგრამ დიდად მაშინ არც მე მეჯერა, რომ აქ მოვხვდებოდი, თუმცა, მთავარია, რომ სცადო.

ყოველთვის, როცა თავისუფალი დრო მრჩება, ვცდილობ, რომ რაღაც მოვძებნო, რაღაც უნივერსიტეტს მიღმა. ამაში ხანაც სოციალური ქსელი მეხმარება, ხანაც გუგლის საძიებო სისტემა, ან ხანაც - მეგობრები. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როცა “ევროპის უნივერსიტეტში” სამომავლო ჟან მონეს ზამთრის სკოლის შესახებ შევიტყვე. რომ ვთქვა ბოლომდე უიმედოდ ვიყავი - მეთქი, ტყუილია, რადგანაც მართლა მქონდა იმედი, რომ მოვხვდებოდი. არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც.

მოკლედ, შევთანხმდით მე და ჩემი მეგობარი, რომ ორივე შევავსებდით სააპლიკაციო ფორმას, შევავსეთ და უბრალოდ ერთი რამის კეთება შეგვეძლო - დალოდება. ეს ყველაზე ცუდი რამეა, ლოდინზე ცუდი არაფერია, როცა არაფერი იცი, მაგრამ მენდეთ, ღირდა.

ისევ ამ მორევში ვარ, რაღაცის ძებნაში, რაღაც ახლის და “ევროპის უნივერსიტეტი” საბოლოო დასტურს მაძლევს, როგორც უკვე აღვნიშნე. როცა გონებაში წარმოდგენილი სურათების სინქრონიზაციის ეტაპი გადავლახე და ცოტა უფრო რეალისტურად შევხედე სურათს, შეტყობინებაც სრულად წავიკითხე.

შეტყობინება მაწვდიდა ინფორმაციას:

1) ჟან მონეს ზამთრის სკოლა შედგება ორი კვირისგან.

2) თუ ლექციების 70% დავესწრები, მივიღებ ორენოვან სერთიფიკატს.

3) არის შესაძლებლობა, რომ გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, შევძლო კრედიტების მოგროვება (5 ECTS).

და სადღაც ტექსტის შუაგულში, წითელი ფერით გამოკვეთილია - „დეტალური დღის წესრიგისთვის, გთხოვთ, იხილოთ, თანდართული ფაილები“. ვხსნი, ვაკვირდები სახელებსა და გვარებს, ზოგიც მეცნო, ზოგსაც „ვსერჩავ“, თუმცა მე მარტივად გავიაზრე, რომ საკმაოდ წონიან და განათლებულ ხალხთან მომიწევდა შეხვედრა. საფუძველს ამყარებდა სახელები - პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი და სხვა.

ჩემთვის სიტუაცია უფრო მარტივად აღქმადი გახდა, რადგანაც მე ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც მინდოდა. მე თვითონ პოლიტიკის მეცნერებას ვსწავლობ თსუ-ში და უკვე ვიცი, თუ რას ნიშნავს ესაუბრო იმ ხალხს პირისპირ, ვინც ჩართულია ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის განსაზღვრასა და დაგეგმარებაში.

სიმართლე რომ ვთქვა, საწყის ეტაპზე მეგონა, რომ ლექციის განმავლობაში ინტერაქციის საშუალება ნაკლებად მექნებოდა, რადგანაც მაინც ახალი სივრცე იყო, ახალი გარემო, ახალი ადამიანები, სპეციფიკური თემები. თუმცა, ყველაფერი პირველივე დღეს მოგვარდა - თავისუფლად შეგვძელო ჩართვა, კითხვების დასმა და მაქსიმალური ინფორმაციის მიღება.

აქ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რაც ყურადღებას იმსახურებს. ლექციების პირველივე დღეს ხაზი გაესვა პოლიტიკურ ნეიტრალობას, რაც ჩემგან უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

არადა, საკითხი ასე მარტივადაც არ დგას. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ელოდება ვენეციის კომისიის შეფასებას სხვადასხვა რეფორმაზე, საკანონმდებლო ორგანოში დაძრულია რამდენიმე სადაო კანონპროექტი და ჩვენ ამ დროს ვმსჯელობთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საქართველოს ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის პროცესები, აქტორები, ინსტიტუტები; პარლამენტის როლი ევროპეიზაციაში; ევროპული პოპულიზმი საქართველოს პრიზმაში, საინფორმაციო ომი და სტრატეგიული კომუნიკაცია; სექტორული ევროპეიზაცია; რეგიონული თუ საერთაშორისო მოვლენები და მათი გავლენა საქართველოს ევროპეიზაციაზე; და სხვა. ასეთ დროს, ძალიან მარტივია ხოლმე პოლიტიკური დივიდენდების მიღების მიზნით საკუთარი გზავნილების გადასაცემად მსგავსი პლატფორმების გამოყენება, თუმცა ყველა სპიკერმა პროფესიონალურ დონეზე შეასრულა მათზე დაკისრებული მოვალეობა.

არასდროსაა მარტივი, რომ სტუდენტის მოლოდინები გაამართლო, რადგანაც ჩვენ, ახალგაზრდებს, სულ რაღაც, რაღაც უფრო მეტი გვსურს. თუ ვინმე მკითხავს, რა მომცა ჟან მონეს

ზამთრის სკოლამ, ვუპასუხებ: ცოდნა. დეტალური ცოდნა იმის შესახებ, რასაც მედიაში და სოციალურ ქსელებში ვერ ნახავთ. წარმოდგენა არ მქონდა ევროკომისიის სექტორული შეფასებებისა და ყველასათვის ცნობილი ევროკავშირის 12 პუნქტის სიღრმისეულ თავისებურებებზე, მახასიათებლებზე. ამ ყველაფერმა კი ჩემი მოლოდინები სრულად დააკმაყოფილა, რადგანაც ვკონცენტრირდით საქმეზე, დეტალებზე და არა პოპულისტურ ჰედლაინებზე, რომლებსაც ხშირად შეხვდებით. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი და უაღრესად სასარგებლო იყო ჩემთვის, განსაკუთრებით, დღევანდელ საინფორმაციო გარემოში, სადაც ჭარბი ინფორმაციის პირობებში ძნელია სიმართლის, სწორი და არასწორი, რეალური და ხელოვნური ინფორმაციების გარკვევა.

გარედან დანახული აღნიშნული პროცესი ჩვეულებრივ მიმდინარეობად მოჩანს, მაგრამ არც ასეა საქმე. არის ხალხი, ვინც მართლა მუშაობს, რომ ეს ქვეყანა ევროკავშირს დაუახლოვდეს, თუმცა არის რიგი ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელებიც ჯერ კიდევ საჭიროებს გამოსწორებას. სწორედ ამას გაძლევს ჟან მონეს ზამთრის სკოლაც, გაჩვენებს რეალობას, რომელიც დაგეხმარება, რომ გაიგო, მართლა რას ნიშნავს ევროკავშირი, ევროპეიზაცია, დემოკრატიზაცია. რაც მთავარია, ამას აკეთებს ახალგაზრდებისთვის, როგორც სტუდენტებისთვის, ისე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის.

13 თებერვალს, ჟან მონეს ზამთრის სკოლის პირველ ლექციაზე, ერთი კარგი ფრაზა მოვისმინე - „დაგანახოს ჭეშმარიტება“. და ეს ასეცაა. ყოველგვარი სხვა მიზანი, რომელიც შეიძლება არსებობდეს, აქ გვერდით არის გადადებული. უბრალოდ, გაქვს კითხვა? მაშინ დასვი!

დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში იყო ჩართული, რადგანაც დღეს საქართველო გზაგასაყარზეა. ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ჩვენ ქვეყანას გააჩნია, სწორედაც ევროკავშირია. შესაბამისად, მსგავსი ტიპის პროექტები, ხელს უწყობს ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლებას, რაც მათ სწორი არჩევნის მიღებაში - ევროპული მომავლის არჩევაში დაეხმარებათ.